

ჯგუფი ენერგო-პრო

---

# ქცევის კოდექსი

## ქცევის კოდექსი

### სარჩევი

შესავალი.....	4
აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა.....	4
ჩვენს შესახებ.....	5
მთავარი ღირებულებები.....	5
ქცევის კოდექსის მიზანი.....	6
ვისზე ვრცელდება ქცევის კოდექსი?.....	6
ქცევის კოდექსის პრიორიტეტები .....	7
პრიორიტეტი 1 - სამუშაო გარემო .....	7
ჩვენი თანამშრომლები.....	7
ჯანდაცვა და უსაფრთხოება .....	8
კომუნიკაცია .....	9
პრიორიტეტი 2 – როგორ ვმუშაობთ .....	10
პრივატულობა და პერსონალური მონაცემები .....	10
კორუფცია და ფულის გათეთრება.....	11
ინტერესთა კონფლიქტი.....	12
სამართლიანი კონკურენცია და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა.....	13
შიდა ინფორმაცია და ტრეინინგი.....	13
პრიორიტეტი 3 - ჩვენი პარტნიორები .....	14
მთავრობა.....	14
მომწოდებლები და კონტრაქტორები .....	15
პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები და პროფკავშირული გაერთიანებები .....	16
პრიორიტეტი 4 – მდგრადობა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები (ESG).....	16
გარემო, სადაც ვმუშაობთ.....	16
საზოგადოება.....	18
ეფექტური მართველობა.....	19
ადამიანის უფლებები .....	20
კოდექსის მოქმედება.....	21

ჩვენი, როგორც თანამშრომლების, მომწოდებლების და კონტრაქტორების პასუხისმგებლობა.....	21
ქვევის კოდექსის პოტენციური დარღვევების დაფიქსირება.....	21
მოკვლევის პროცესი.....	21
დისციპლინარული ზომები .....	22

## შესავალი

### აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

ძვირფასო კოლეგებო,

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ ჩვენი პირველი საყოველთაო ქცევის კოდექსი. როგორც წამყვანი ჰიდროენერგეტიკული ოპერატორი, დისრიბუტორი და ელექტროენერჯის მიმწოდებელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ვიღებთ ვალდებულებას საქმიანობა ვაწარმოოთ პატიოსნად და ეთიკის ნორმების დაცვით. ეს ქცევის კოდექსი ასახავს ჰიდროენერგოსექტორის, დაინტერესებული მხარეების, პარტნიორების და დარგის დინამიური ბიზნეს გარემოს მოლოდინებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვმუშაობთ გლობალურ გარემოში და ჩვენი მუშახელი მულტიკულტურული და მრავალფეროვანია, ყველანი ვიზიარებთ საერთო ღირებულებებს ბიზნესის წარმოების მხრივ. ჩვენი თანამშრომლები პატიოსნად და ეთიკის ნორმების დაცვით მუშაობენ. ვიცავთ ოპერირების ქვეყნების მოქმედ კანონმდებლობას და რეგულაციებს.

ეს ქცევის კოდექსი განმარტავს, როგორც ვაწარმოებთ ბიზნესს და როგორ ვურთიერთობთ სხვადასხვა მხარეებთან. აღწერს ჩვენს მოლოდინებს ადამიანის უფლებების, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მხრივ, ჩვენი თანამშრომლების და კონტრაქტორების მოლოდინებს და უზრუნველყოფს ინსტრუქტაჟს თანამშრომლებისთვის, ყოველდღიური ამოცანების შესრულებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში დასახმარებლად.

თანამშრომლებისგან ვითხოვთ გაეცნონ ქცევის კოდექსს, გაიაზრონ და დაიცვან მისი პირობები. კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ ხელმძღვანელ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი ქცევით მაგალითი მისცენ დაქვემდებარებულ თანამშრომლებს.

მადლობას გიხდით ქცევის კოდექსის დაცვისთვის, კეთილგონივრულად, პატიოსნად მუშაობისთვის და ეფექტური კორპორატიული მოქალაქეობის ჩამოყალიბებისთვის.

იარომირ ტესარი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

## ჩვენს შესახებ

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ჰიდრო ელექტრო სექტორია. ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერჯის დისტრიბუციის და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მასშტაბურ სადისტრიბუციო ქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. კომპანია მონაწილეობდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციაში და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1 241 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.5 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“ (სათაო ოფისით ქ. პრადში) ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული Litostroj Engineering a.s. (ყოფილი ČKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

## მთავარი ღირებულებები

ენერგო-პრო ხელმძღვანელობს 4 მთავარი ღირებულებით:

- **პატიოსნება:** პროფესიონალურ და პირად საქმიანობაში პატიოსნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული ღირებულებაა. ვმოქმედებთ თანმიმდევრულად, იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც სწორად მივიჩნევთ და ვიცავთ კანონს, ამ ქცევის კოდექსს, კორპორატიულ პოლიტიკას და სტანდარტებს.
- **პატივისცემა:** პატივს ვცემთ ერთმანეთს, ჩვენს პარტნიორებს და დაინტერესებულ მხარეებს. ვათვითცნობიერებთ, რომ ვმუშაობთ მულტიკულტურულ გარემოში. ვქმნით გარემოს, სადაც ჩვენს თანამშრომლებს საშუალება აქვს ერთმანეთს პატივისცემით მოექცნენ.
- **გამჭვირვალობა:** ვაფასებთ გამჭვირვალობას, ანგარიშგებას და ვერბალურ კომუნიკაციას ყველა სახის საქმიანობაში.
- **ეთიკა:** ვიცავთ ეთიკის სტანდარტებს პროფესიონალურ და პერსონალურ ურთიერთობებში. ვიღებთ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას ჩვენს თითოეულ ინდივიდუალურ ქმედებაზე და გადაწყვეტილებაზე და ვიქცევით პროფესიონალურად ყოველდღიურ საქმიანობაში და ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობაში.



### ქვევის კოდექსის მიზანი

ქვევის კოდექსის მიზანია მომზადდეს პრაქტიკული ინსტრუქტაჟი, ყოველდღიურ საქმიანობაში პერსონალის დასახმარებლად, ეთიკის ნორმების დაცვით. კოდექსი ასახავს ჩვენს ვალდებულებას პასუხისმგებლიანი საქმიანობის კუთხით. კოდექსი არ ანაცვლებს გონივრულობას და საღ აზრს და თანამშრომლებს მოვუწოდებთ კითხვების შემთხვევაში რჩევისთვის მიმართონ ზემდგომ პირებს. კოდექსის ან კანონის არსებობის იგნორირება არ ჩაითვლება ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად. კოდექსის მოქმედება ხელს შეუწყობს ჩვენი ბრენდის იმიჯის ზრდას და პარტნიორების და დამკვეთების ნდობის მოპოვებას.

მნიშვნელოვანია, რომ ყველამ, თანამშრომლებმა თუ კონტრაქტორებმა, კარგად გაიაზრონ კოდექსი. ენერგო-პრო ჯგუფის კომპანიებს შეუძლიათ დამატებით შეიმუშაონ სპეციფიკური ადგილობრივი ქვევის კოდექსები.

კოდექსის კონტენტის უმეტესობა ასახულია ენერგო-პროს დეტალურ პოლიტიკის დოკუმენტებში და სტანდარტებში. ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს მოეთხოვება კოდექსის, ენერგო-პროს პოლიტიკის და სტანდარტების დაცვა. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტები და სტანდარტებია (ან შემუშავების შემდეგ იქნება):

- კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა
- მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკა
- ჯანდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების პოლიტიკა
- ადამიანის უფლებების პოლიტიკა
- უსაფრთხოების პოლიტიკა
- შესყიდვების პოლიტიკა
- მდგრადი განვითარების პოლიტიკა
- ანგარიშვალდებულების პოლიტიკა

### ვისზე ვრცელდება ქვევის კოდექსი?

ეს კოდექსი ვრცელდება ენერგო-პროს ყველა თანამშრომელზე, მათ შორის დროებით თანამშრომლებზე, დირექტორებზე და აღმასრულებელ რგოლზე. ასევე მოველით, რომ ენერგო-პროსთან ურთიერთობისას კოდექსს დაიცავენ კონტრაქტორები და კონსულტანტები, რომლებსაც ანაზღაურებას უხდის კომპანია.

## ქვევის კოდექსის პრიორიტეტები

### პრიორიტეტი 1 - სამუშაო გარემო

#### ჩვენი თანამშრომლები

კომპანიის ყველაზე ღირებული აქტივი კომპანიის თანამშრომლებია. ჩვენი გუნდი აერთიანებს 9000-ზე მეტ ნიჭიერ პროფესიონალს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დამკვეთებს და პარტნიორებს გავუწიოთ გამორჩეული მომსახურება. შევიმუშავეთ ადამიანური რესურსების პოლიტიკა და მიზნად ვისახავთ შევქმნათ გარემო, რომელიც ყველა თანამშრომელს სამართლიანად და პატივისცემით ეპყრობა. ბუღინგმა და ჩაგვრამ შეიძლება გამოიწვიოს არაპროდუქტიული მუშაობა და ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის სამუშაო ტრავმები და ფსიქოლოგიური დაავადებები, გავლენა მოახდინოს მორალურ მდგომარეობაზე და პროდუქტიულობაზე და შექმნას საფრთხეების შემცველი სამუშაო გარემო. ბუღინგის და ჩაგვრის მსხვერპლს შესაძლოა არ სურდეს პრობლემის დაფიქსირება, რაც შექმნის გარემოს, რომელიც ბუღინგის და ჩაგვრისადმი ტოლერანტულია. არ დავუშვებთ დისკრიმინაციის არც ერთ ფორმას, ბუღინგს, ან ჩაგვრას სქესის, რელიგიის, პოლიტიკური კუთვნილების, ეროვნების, ასაკის, რასის, წარმომავლობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო.

მხარს ვუჭერთ მრავალფეროვნებას და ინკლუზიას, დასაქმების კანდიდატებს და თანამშრომლებს ვაფასებთ კვალიფიკაციის, უნარების და სამუშაოს შესრულების ხარისხის მიხედვით. ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს ვექვევით პატივისცემით. თანამშრომლებს აქვთ უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სამართლიანი ანაზღაურების, დაცვის და თანაბარი მოპყრობის უფლება. მივმართავთ გონივრულ ზომებს, რათა დავასაქმოთ იმ საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები, სადაც ვოპერირებთ და შევთავაზებთ განვითარების შესაძლებლობებს.

#### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- წახალისეთ თანამშრომლები მონაღმების და სამუშაოს ხარისხის მიხედვით;
- მიეცით მაგალითი და თანამშრომლებს მოექვევით პატივისცემით;
- აცნობეთ ბუღინგის და ჩაგვრის ფაქტები უშუალო ხელმძღვანელს ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტს;
- მიმართეთ საჭირო ზომებს ქალების, მათ შორის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების დასასაქმებლად და წახალისებლად, რითაც ხელს შეუწყობთ მრავალფეროვნების და ინკლუზიისადმი ჩვენი ვალდებულებების შესრულებას;
- დაიცავით ადამიანური რესურსების პოლიტიკა, შესაბამისი სტანდარტები და პროცედურები;
- არ დაუშვათ თანამშრომლების დაცინვა, შეურაცხყოფელი ხუმრობა, შეუფერებელი ლექსიკის და ჟესტების გამოყენება.



თანამშრომლების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია ადამიანური რესურსების, განგაშის პოლიტიკაში და შესაბამის სტანდარტებში.

### ჯანდაცვა და უსაფრთხოება

ჯანდაცვა და უსაფრთხოება ენერგო-პროს წარმატების შეუფასებელი კომპონენტია. მხარს ვუჭერთ ნულოვანი ზიანის პრაქტიკას და ყველა ზომას მივმართავთ, რათა მინიმუმამდე შევამციროთ რისკები ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორების და საზოგადოების მიმართ, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნით. ორგანიზაციის თითოეული წევრი ანგარიშვალდებულია საკუთარ და კოლეგების უსაფრთხოებაზე. რისკების აღმოსაფხვრელად ყველა სამშენებლო და საოპერაციო უბანზე ვამკვიდრებთ ჯანდაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემებს.

მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან მიზნობრივი, რისკზე დაფუძნებული ჯანდაცვის და უსაფრთხოების ზომების შემუშავებაზე და გატარებაზე და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად საჭირო ზომების მიღებაზე.

ხელმძღვანელი პირებისგან მოველით უსაფრთხოების კულტურის წახალისებას და თანამშრომლებისთვის მაგალითის მიცემას, საკუთარი და სხვების უსაფრთხოებაზე მუდმივად ზრუნვას. უზრუნველვყოფთ, რომ ყველა თანამშრომელს კარგად ქონდეს გააზრებული საკუთარი უსაფრთხოების მნიშვნელობა და ვალდებულება. საფრთხისშემცველი ქმედებები და უსაფრთხოების ვალდებულებების დარღვევა დაუყოვნებლივ ფიქსირდება და ეცნობება ხელმძღვანელობას. ერთმანეთისგან განვასხვავებთ თანამშრომლებისთვის საფრთხის შემქმნელ განზრახ და შემთხვევით ქმედებებს. გამოვიკვლევთ ჯანდაცვის და უსაფრთხოების ყველა ინციდენტს და შესაბამის შემთხვევებში პრიორიტეტს ვანიჭებთ არა დასჯას, არამედ გამოსწორებით ზომებს.

ჩვენს ოფისებში და სამუშაო უბნებზე ნარკოტიკული საშუალებების მიღება და სიმთვრალე დაუშვებელია.

#### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- რეგულარულად შეაფასეთ ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები;
- სამუშაოს დაწყებამდე უზრუნველყავით სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, დავალების შესასრულებლად საჭირო შესაფერისი უნარების და პერსონალური დამცავი საშუალებების არსებობა;
- კარგად გაერკვიეთ შესასრულებელ დავალებაში და ეჭვის შემთხვევაში დასვით კითხვები;
- გაეცანით ჯანდაცვის და უსაფრთხოების მართვის გეგმებს;
- თუ ხედავთ, რომ თქვენი კოლეგა სახიფათო საქმეს ასრულებს, მოსთხოვეთ დაუყოვნებლივ შეჩერდეს, სანამ არ შეიქმნება უსაფრთხო პირობები;
- ლიდერებმა წახალისეთ უსაფრთხოების კულტურა სამშენებლო და საოპერაციო უბნებზე და პრიორიტეტი მიანიჭეთ ჯანდაცვას და უსაფრთხოებას;



- დააფიქსირეთ ინციდენტები და ჩაატარეთ საფუძვლიანი მოკვლევა, გამოსასწორებელი და პრევენციული ზომებით;
- შეისწავლეთ ავარიულ სიტუაციაში ევაკუაციის გეგმა;
- ჩაერთეთ ჯანდაცვის და უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაში.



ჯანდაცვის და უსაფრთხოების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია ჯანდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკაში, სტანდარტებში და ობიექტების სპეციფიურ გეგმებსა და პროცედურებში.

### კომუნიკაცია

მხარს ვუჭერთ გამჭვირვალე და ორმხრივ ურთიერთობას თანამშრომლებთან, საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მთავრობასთან, კლიენტებთან, აქციონერებთან, პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებულ მხარეებთან საკომუნიკაციოდ ვიყენებთ სხვადასხვა საშუალებებს და მედიას, მათ შორის ვებგვერდს, ანგარიშებს, თემატურ დოკუმენტაციას, პრესკონფერენციებს, ინტერვიუსებს, საზოგადოებასთან შეხვედრებს, საზოგადოებრივ საბჭოებს, პირისპირ დისკუსიებს და სხვ. ჩვენი მიზანია კომუნიკაცია გავხადოთ კულტურული კუთხით მგრძობიარე და ეფექტური, დროული და ზუსტი, მხარს ვუჭერთ დისკუსიას და დიალოგს, სხვადასხვა აუდიენციაზე გათვლილ კომუნიკაციას.

მედიასთან კომუნიკაციას კოორდინაციას უწევს პრალის ოფისის კომუნიკაციების დეპარტამენტი; მხოლოდ ენერგო-პროს წინასწარ შერცეულ წარმომადგენლებს აქვთ მედიასთან ურთიერთობის უფლება. მედიაში იგულისხმება პრესა, რადიო, ტელევიზია და სოციალური მედია. გეძლევათ მითითება პრალის ოფისის კომუნიკაციების დეპარტამენტის ნებართვის გარეშე არ გააკეთოთ მედიასთან კომენტარები ენერგო-პროს შესახებ, მათ შორის ტვიტერზე, ფეისბუქზე და სოციალური მედიის სხვა პლატფორმაზე. თანამშრომლებმა და კონტრაქტორებმა ნებართვა უნდა მიიღონ საბჭოსგან რომელიმე საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებამდე, სადაც განიხილება ენერგო-პროს საკითხები, რაშიც შედის ენერგო-პროს რომელიმე ობიექტზე შესაძლო მოპოვებული სამეცნიერო ინფორმაცია.

#### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- არ გააკეთოთ კომენტარები ენერგო-პროს შესახებ სოციალური მედიის რომელიმე პლატფორმაზე, მათ შორის ფეისბუქზე და ტვიტერზე;
- თუ დაგიკავშირდებათ მედიის წარმომადგენელი, გადაამისამართეთ პრალის ოფისის კომუნიკაციების დეპარტამენტთან;
- თუ გსურთ ისაუბროთ საჯარო ღონისძიებაზე, როგორცაა წლიური კონფერენცია და განიხილოთ ენერგო-პროსთან დაკავშირებული საკითხები, მიიღეთ საბჭოს ნებართვა;

- უზრუნველყავით საჯარო დოკუმენტების სიზუსტე და უტყუარობა;
- არ გაავრცელოთ მავნე ხმები და ჭორები ენერგო-პროს ან თქვენი კოლეგების შესახებ;
- ხელი შეუწყვეთ ღია, გამჭვირვალე, ინკლუზიურ და კონსტრუქციულ ურთიერთობებს, კერძოდ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მათ შორის ქალებთან, ხანდაზმულებთან და მოწყვლად ჯგუფებთან, მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და გაითვალისწინეთ საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ვაღიარებთ და მხარს ვუჭერთ სიტყვის თავისუფლებას და თქვენ, როგორც ენერგო-პროს თანამშრომელი, თანხმობას აცხადებთ მონაწილეობა მიიღოთ საჭირო მოკვლევებში და დაექვემდებაროთ სავარაუდო დისციპლინარულ ზომებს იმ ქმედებისთვის (არასამუშაო საათებშიც), რომელიც ზიანს აყენებს ჩვენს რეპუტაციას. დავაზუსტებთ, რომ კომპანიას შეუძლია დისციპლინარული ზომები მიიღოს მხოლოდ კანონის საფუძველზე და დასაბუთებულ შემთხვევებში.

## პრიორიტეტი 2 – როგორ ვმუშაობთ

### პრივატულობა და პერსონალური მონაცემები

ინფორმაციის მარტივად და დროულად გაზიარების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აქ ასევე არსებობს რისკი, თუ ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის ან პირადი მონაცემების გაზიარება. სენსიტიურ ინფორმაციასთან მომუშავე თანამშრომლებმა არ უნდა დაუშვან ინფორმაციის გადაცემა ნებართვის არმქონე პირებისთვის, რაშიც შედის მომწოდებლების სიები, კონტრაქტის ფასები, ტენდერის დოკუმენტები, ინვესტორების შესახებ ინფორმაცია, არასაჯარო ფინანსური ანგარიშები, ინფორმაცია შერწყმის, შესყიდვის შესახებ და სხვ.

თანამშრომლის პერსონალური ინფორმაცია გამოიყენება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად და მოიცავს თანამშრომლებთან, დასაქმების კანდიდატებთან, კონტრაქტორებთან და მომწოდებლებთან დაკავშირებულ პერსონალურ ინფორმაციას.

თანამშრომელი, რომელსაც აქვს წვდომა პერსონალურ და კონფიდენციალურ მონაცემებზე, ვალდებულია:

- არ გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია უფლებამოსილი მენეჯერის ნებართვის გარეშე;
- უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა;
- წაშალოს პერსონალური მონაცემები, რომელთა შენახვაც აღარ არის საჭირო;
- უზრუნველყოს მონაცემების სიზუსტე;
- გამოიყენოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ მიზნობრივად.



პერსონალური მონაცემების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში.

### კორუფცია და ფულის გათეთრება

ჯგუფის წევრ კომპანიებს ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სუბიექტთან. ურთიერთობისას არსებობს ქრთამის შეთავაზების, აღების, ან ფულის გათეთრების რისკი. მტკიცედ და აქტიურად ვეწინააღმდეგებით კორუფციას და ფულის გათეთრებას. მოვამზადეთ კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა, რათა თანამშრომლებს და შესაბამის პირებს მივცეთ ინსტრუქტაჟი სამუშაოს შესრულებისას კანონიერად და პატიოსნად მოქცევის კუთხით.

შევქმენით კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვაზე და განხორციელებაზე, ასევე ტრეინინგების ზედამხედველობაზე და შიდა მოკვლევის დასკვნების განხილვაზე. კომიტეტს ყავს სამი წევრი: ერთი დირექტორთა საბჭოს წევრი, ჯგუფის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი და ჯგუფის მთავარი იურისტი.

კორუფცია ჩვეულებრივ გულისხმობს პირის (უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით) მიერ სხვა პირისთვის რაიმეს გადაცემას მეორე (ან სხვა) პირის მიერ უკანონო/არასწორი ქმედების განხორციელების სანაცვლოდ. კორუფციაში ასევე მონაწილეობს მეორე პირი, რომელიც იღებს საზღაურს.

ფულის გათეთრება გულისხმობს დანაშაულის შედეგის გარდაქმნას ლეგიტიმურ ქონებაში ან აქტივობებში და ამგვარად მათი ნამდვილი წყაროს შენიღბვას. ფულის გათეთრება ხშირად წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

#### პოტენციური არაეთიკური ქცევის ზოგიერთი მაგალითი

- მთავრობის მოხელეებისთვის, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საჩუქრების უნებართვო შეთავაზება, რომელთა ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს;
- მთავრობის მოხელეებისთვის დახმარების სანაცვლოდ ანაზღაურების შეთავაზება ნებართვის/თანხმობის გაცემის პროცესის დასაჩქარებლად;
- ქონების გადაცემა, როცა ვიცით, რომ ეს ქონება მიღებულია დანაშაულებრივი საქმიანობიდან, ქონების უკანონო წარმომავლობის დასამალად ან შესანიღბად;
- ქონების ნამდვილი სახეობის, წყაროს, მდებარეობის, კუთვნილების, გადაადგილების, უფლებების ან მესაკუთრეობის დამალვა/შენიღბვა, როცა ვიცით, რომ ეს ქონება მიღებულია დანაშაულებრივი გზით, ან დანაშაულებრივ

ქმედებაში მონაწილეობით;

- ქონების მიღება, ფლობა და გამოყენება, როცა ვიცით, რომ მიღების მომენტში ქონება წარმოადგენდა დანაშაულებრივი ქმედების ან ქმედებაში მონაწილეობის შედეგს;
- ზემოთხაზოთვლილ ქმედებებში მონაწილეობა, კავშირის ქონა, ქმედების მცდელობა ან ხელშეწყობა.



დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკაში.

### ინტერესთა კონფლიქტი

ჩვენი სურვილია საქმიანობა ვაწარმოოთ პროფესიონალურად და ეთიკის ნორმების დაცვით. ჩვენთვის გასაგებია, რომ ზოგჯერ ხაზები პროფესიონალურ და პერსონალურ ინტერესებს შორის ბუნდოვანია. შესაძლოა სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდეთ ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციებში. მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა შეიქმნას, როდესაც გაქვთ პირადი ურთიერთობები მომწოდებელთან, ან დასაქმების პოტენციურ კანდიდატთან. ნორმალურია და ფაქტიურად უმეტეს შემთხვევაში სასარგებლოა იცნობდეთ მომწოდებლებს, კონტრაქტორებს და დასაქმების კანდიდატებს წარსული სამუშაო გამოცდილებიდან. ასეთ შემთხვევებში უნდა აცნობოთ სპერვაიზერს, რათა მინიმუმამდე შეამციროთ ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში აღმოჩენის რისკი. თუ მომწოდებელი, კონტრაქტორი ან დასაქმების კანდიდატი თქვენი ოჯახის წევრია, არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა შერჩევის პროცესში.

ინტერესთა კონფლიქტი ასევე შეიძლება შეიქმნას, თუ მონაწილეობთ ან პერსონალური ფინანსური ინტერესი გაქვთ ისეთ სიტუაციაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ენერგო-პროზე, ან თქვენს მიერ სამუშაოს შესრულებაზე, მაგალითად, პირდაპირი კონკურენციის შემთხვევა. ყველაზე მნიშვნელოვანია აცნობოთ ხელმძღვანელს, ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტს, თუ არ ხართ დარწმუნებული, აქვს თუ არა ადგილი ინტერესთა კონფლიქტს. გირჩევთ ინფორმაცია მიაწოდოთ წერილობით, მაგალითად ელ.ფოსტით.

#### ინტერესთა კონფლიქტის მაგალითები

- მონაწილეობთ კანდიდატის შერჩევაში, რომელიც თქვენი ოჯახის წევრია;
- მონაწილეობთ კონტრაქტორების შერჩევაში, რომლებიც თქვენი ოჯახის წევრები ან ახლო მეგობრები არიან;
- მომწოდებლისგან, პოტენციური მომწოდებლისგან, ან მთავრობის წარმომადგენლისგან იღებთ საჩუქარს, არა მცირე ღირებულების ნივთს;
- თავისუფალ დროს, ან სამუშაო საათებში მონაწილეობთ კონკურენტის

საქმიანობაში;

- ენერგო-პროში მუშაობენ თქვენი ოჯახის წევრები ან ახლო მეგობრები, რომლებზეც შეგიძლიათ გავლენის მოხდენა.

### სამართლიანი კონკურენცია და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა

მხარს ვუჭერთ სამართლიან კონკურენციას და ვიცავთ შესაბამის კანონებს და რეგულაციებს. ვეძებთ კონკურენტულ უპირატესობას კანონიერი და ეთიკური პრაქტიკით, კონკურენტებს შორის და მომწოდებელთა ჯაჭვის სხვადასვა დონეზე. ვიცავთ ადგილობრივ და საერთაშორისო ანტი მონოპოლიურ რეგულიაციებს და სამართლიანი კონკურენციის მარეგულირებელ სხვა კანონებს.

### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- თუ გაქვთ წვდომა კომპანიის სენსიტიურ ინფორმაციაზე, როგორცაა კონტრაქტები, ჰიდროელექტროპროექტების სატენდერო დოკუმენტაცია ან კონტრაქტორის შეთავაზებები, დარწმუნდით, რომ იცნობთ ანტიმონოპოლიურ წესებს;
- არ დატოვოთ კონფიდენციალური და მგრძობიარე მონაცემების შემცველი ინფორმაციის მყარი ასლები ისეთ ადგილებში ან პირობებში, სადაც შესაძლოა მათზე წვდომა მიიღოს ნებართვის არმქონე პირმა;
- არ გაუმჟღავნოთ კონფიდენციალური ინფორმაცია ნებართვის არმქონე მესამე მხარეებს კომპანიაში მუშაობის პერიოდში და არ დაიტოვოთ კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიის დატოვების შემდეგ;
- არ განიხილოთ კონკურენტებთან ტენდერის ფასები და ტექნიკური წინადადებები;
- პროაქტიულად მოახდინეთ დისტანცირება სხვა კომპანიების შეუფერებელი და არაეთიკური ქცევისგან და ინციდენტების შესახებ აცნობეთ იურიდიულ სამსახურს;
- თუ არ ხართ დარწმუნებული, დაუკავშირდით იურიდიულ სამსახურს. ანტი მონოპოლიური და კონკურენციის შესახებ კანონების დარღვევა სერიოზული საკითხია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინარული ზომები, სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით.

### შიდა ინფორმაცია და ტრენინგი

სამუშაოს შესრულებისას თანამშრომლებს შესაძლოა ქონდეთ წვდომა კომპანიის შიდა ინფორმაციაზე, რომელიც არ უნდა იქნას გამოყენებული კანონის და რეგულაციების და ნდობის დარღვევით. კომპანიის შიდა ინფორმაციაში შეიძლება შედიოდეს ინფორმაცია ფასების, წინადადებების, თანამშრომლების ცვლილებების, შესყიდვების, სამომავლო მოგების ან ზარალის შესახებ და სხვა სენსიტიური არასაჯარო ინფორმაცია.



მოველით, რომ თანამშრომლები კომპანიის შიდა ინფორმაციას მოეპყრობიან სათანადო გულმოდგინებით და სიფრთხილით. შიდა ინფორმაციის მესამე მხარეებისთვის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ კანონით და რეგულაციებით ნებადართულ შემთხვევებში და აუცილებლობისას, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაფიქსირებით. ვგმობთ შიდა ინფორმაციით ვაჭრობას და ყველა ზომას მივმართავთ მისი პრევენციისთვის.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- არ გაამჟღავნოთ კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორცაა ფინანსური ინფორმაცია, ბიზნეს სტრატეგია, დაგეგმილი ტრანზაქციები და სხვა;
- დაიცავით პერსონალურ მონაცემებთან კავშირებული კანონები, რეგულაციები და შიდა წესები;
- არ გამოიყენოთ ენერგო-პროს კონფიდენციალური კომერციული ინფორმაცია პირადი ან მესამე მხარის ფინანსური სარგებლისთვის და უპირატესობისთვის.

### პრიორიტეტი 3 - ჩვენი პარტნიორები

#### მთავრობა

ჩვენი მიზანია სამთავრობო პარტნიორებთან ურთიერთობები დავამყაროთ ნდობის და პატიოსნების პრინციპით. კარგი ურთიერთობები სახელმწიფო, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან მნიშვნელოვანია ჩვენი ბიზნესის წარმატებისთვის ოპერირების ქვეყნებში. ყველა დონის სამთავრობო ორგანოსთან ურთიერთობისას ვმოქმედებთ პატიოსნად და უმაღლესი პროფესიონალიზმით, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობებთან და საზოგადოების არჩეულ წარმომადგენლებთან.

მხარს ვუჭერთ ორმხრივ კომუნიკაციას სამთავრობო პარტნიორებთან, გამჭვირვალობის და ნდობის საფუძველზე. უზრუნველვყოფთ ნებართვების და ლიცენზიების დროულად მიღებას. მოთხოვნისამებრ ვაწვდით ფაქტებზე დამყარებულ დოკუმენტაციას და ვებმარებით ნებისმიერი საჭირო ინფორმაციის, მათ შორის აუდიტისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიღებაში. მთავრობასთან ვმუშაობთ საზოგადოებაზე და გარემოზე ზეგავლენის პრევენციის ან მინიმუმამდე შემცირებისთვის და ვთანამშრომლობთ საზოგადოებრივი განვითარების პროექტებში.

არ ვასაქმებთ მთავრობის მოხელეებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც შეუძლიათ ენერგო-პროსთან მიმართებაში გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა.

ენერგო-პროს შეიძლება დაევალოს მთავრობის წარმომადგენლების დახმარება დარგობრივ კონფერენციებზე დასწრებაში ან ენერგო-პროს ობიექტებზე ვიზიტში.

მთავრობის მოხელეებისთვის შესაძლო გადაცემული საჩუქრები უნდა აკმაყოფილებდეს კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის მოთხოვნებს.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- თუ განიცდით ზეწოლას მთავრობის წარმომადგენლების ან მათი ოჯახის წევრების დასაქმების მხრივ, გააცანით ენერგო-პროს ქცევის კოდექსი და საქმის კურსში ჩააყენეთ უშუალო ხელმძღვანელი;
- უზრუნველყავით მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის გადაცემული დოკუმენტების და ინფორმაციის სიზუსტე;
- აცნობეთ უშუალო ხელმძღვანელს ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტს ენერგო-პროს თანამშრომლის პოტენციური საექვო ქმედების შესახებ, მთავრობის ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთოერთობისას;
- მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საქმიანობა აწარმოეთ პატიოსნად და პროფესიონალურად.

**მომწოდებლები და კონტრაქტორები**

ყოველდღიურად გვიწევს მრავალ მომწოდებელთან და კონტრაქტორთან მუშაობა. მომწოდებლების და კონტრაქტორების შეფასებისას ვითვალისწინებთ კოდექსის და მასთან დაკავშირებული პლიტიკის და სტანდარტების დაცვის შესაძლებლობებს. მომწოდებლებთან და კონტრაქტორებთან გაფორმებული კონტრაქტები მოითხოვს ამ კოდექსის და ადგილობრივი რეგულაციების, ასევე, შესაბამის შემთხვევებში, საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკის (GIIP) დაცვას.

საქონლის და მომსახურებების შესყიდვას ახორციელებს ინდივიდუალური ობიექტი ან ოფისი. ბიზნეს პარტნიორების შერჩევა კომპლექსური პროცესია. შერჩევის პროცესში უზრუნველყოფთ ყველა ტრანზაქციის სათანადოდ დამტკიცებას და დოკუმენტირებას და ადგილობრივი რეგულაციების დაცვას. შესყიდვის გადაწყვეტილებები ემყარება კომპანიის გამოცდილებას, საუკეთესო ფასს, ხარისხს, სამუშაოს შესრულებას და მდგრადობას. მომწოდებლებისგან და კონტრაქტორებისგან მიღებული საჩუქრები უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენს კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის მოთხოვნებს.

ყველა ობიექტს ვთხოვთ გონივრულად შესყიდვები განახორციელონ ადგილობრივ ან რეგიონალურ დონეზე, სახელმწიფო ან საერთაშორისო ბიზნეს პროვაიდერების მოძიებამდე. ყველა ზომას მივმართავთ ადგილობრივ კომპანიებთან მუშაობისთვის, რომელთან შეძლებისდაგვარად პრიორიტეტი ენიჭებათ.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- მომწოდებლებს და კონტრაქტორებს განუმარტეთ, თუ რას ველით მათგან ამ კოდექსის, კომპანიის პოლიტიკის და სტანდარტების მხრივ;
- შესყიდვების პროცესის სათანადოდ საწარმოებლად წინასწარ განსაზღვრეთ მოთხოვნები;

- იმუშავეთ ადგილობრივ ჯგუფთან ადგილობრივი და რეგიონალური კომპანიების მოსაძიებლად, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შესყიდვების მონაცემთა ბაზაში;
- შერჩევამდე მიიღეთ ფასის შეთავაზებები რამდენიმე კომპანიისგან და მოახდინეთ შერჩევის პროცესის დოკუმენტირება;
- თუ იცნობთ რომელიმე პროვაიდერს, აცნობეთ ხელმძღვანელს;
- გადაუხადეთ პროვაიდერებს დროულად და გადახდა განახორციელეთ მხოლოდ საქონლის და მომსახურებების გამწევ პირზე ან ორგანიზაციაზე;
- უზრუნველყავით უსაფრთხოების კონტრაქტორების მიერ ადამიანის უფლებების სტანდარტების დაცვა;
- მოერიდეთ სასამართლოს გზით დავის გადაწყვეტას და თავდაპირველად ეცადეთ დავა გადაწყვიტოთ შეთანხმების გზით.



მომწოდებლების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია შესყიდვების პოლიტიკაში და შესაბამის სტანდარტებში.

### პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები და პროფკავშირული გაერთიანებები

ენერგო-პრო არ ახორციელებს შეწირულობებს პოლიტიკური პარტიებისთვის, მოძრაობებისთვის, პოლიტიკოსებისთვის ან კანდიდატებისთვის. სამთავრობო ორგანიზაციების საქველმოქმედო შეწირულობა დასაშვებია მხოლოდ გენერალური მენეჯერ(ებ)ის მიერ; ნებადართულია შეწირულობა მხოლოდ ჯგუფის სასარგებლოდ და არა ინდივიდუალური პირებისთვის. სამთავრობო ორგანოებისთვის შეწირულობა უნდა აკმაყოფილებდეს კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის მოთხოვნებს.

#### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- როგორც მოქალაქეს, უფლება გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ პოლიტიკურ პროცესებში არასამუშაო საათებში, იმის დაფიქსირებით, რომ არც ერთი ფორმით არ წარმოადგენთ ენერგო-პროს.

### პრიორიტეტი 4 – მდგრადობა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები (ESG)

#### გარემო, სადაც ვმუშაობთ

ენერგო-პროს მიზანია მდგრადი განვითარება. შევიმუშავეთ მდგრადი განვითარების პოლიტიკა და შესაბამისი სტანდარტები, რათა ჩვენი ოპერაციები თანხვედრაში მოდიოდეს საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკასთან. ამასთან, ვიღებთ ვალდებულებას

დავაფიქსიროთ გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი პრობლემები რისკების შემფასებელი მესამე მხარის-პროვაიდერის მეშვეობით.

ბოლო პერიოდში შევუერთდით UN Global Compact-ს და ვალდებულებას ვიღებთ დავიცვათ ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვის და კორუფციის საწინააღმდეგო 10 პრინციპი.

ვითვალისწინებთ, რომ ოპერაციების მდგრადობა მაქსიმალურად გაზრდის ჩვენს წვლილს ბუნებრივი და ფიზიკური გარემოს და საზოგადოებრივი ჯგუფების დაცვაში. მენეჯერებს და ხელმძღვანელ პირებს ვაკისრებთ ენერგო-პროს მდგრადი განვითარების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სტანდარტების დანერგვის და გატარების ვალდებულებას.

ვიცავთ გარემოსდაცვით კანონმდებლობას და ნებართვების მიღების მოთხოვნებს ოპერირების ქვეყნებში, მათ შორის კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. ჩვენი მიზანია შევამციროთ ოპერაციებით გამოწვეული ზიანი, ენერჯის, წყლის და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებით, კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად. ჩვენ ასევე მზად ვართ შევატყობინოთ ჩვენი GHG ემისიები, დავსახოთ მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნები და მივიღოთ ზომები ჩვენი ოპერაციების დეკარბონიზაციისთვის.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- გაეცანით მდგრადი განვითარების პოლიტიკას და მასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. მოველით, რომ ყველა თანამშრომელი გაეცნობა და დაიცავს პოლიტიკის მოთხოვნებს;
- აღიარეთ, რომ კლიმატის მოქმედება მოითხოვს კოლექტიურ აზროვნებას და კონკრეტულ გეგმებს და წამოადგინეთ თქვენი იდეები იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლია შევამციროთ ჩვენი კლიმატის გავლენა.
- უზრუნველყავით, რომ მომწოდებლები და კონტრაქტორები იცნობდნენ მდგრადი განვითარების მოთხოვნებს და იზიარებდნენ ჩვენს ვალდებულებებს გარემოს დაცვის კუთხით;
- ჩაერთეთ ოპერაციების არეალებში გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირების ზომების შემუშავებაში და ხელი შეუწყვეთ მუდმივი გაუმჯობესების კულტურას. გაუზიარეთ იდეები ხელმძღვანელს და კოლეგებს;
- აცნობეთ გარემოსდაცვითი მონაცემები სიზუსტით.
- მოიძიეთ კრეატიული გზები, რათა შევამციროთ ჩვენი გარემოსდაცვითი გავლენა და უზრუნველყოთ ყველა ოპერაციის რეაბილიტაცია და შეძლებისდაგვარად მათი წინამშენებლო გარემოში აღდგენა.

- აცნობეთ ზემდგომს გარემოსდაცვითი ინციდენტების შესახებ, რომელსაც შეესწრებით ან რომლის შესახებაც თქვენთვის ცნობილი გახდება და ჩაერთეთ ინციდენტების მართვის და განმეორების პრევენციის გადაწყვეტილებების შემუშავებაში;
- დარწმუნდით, რომ ყოველდღიური საქმიანობა შეესაბამება მდგრადი განვითარების პოლიტიკას და სტანდარტებს;
- დროულად მოიპოვეთ საჭირო ლიცენზიები და ნებართვები. თუ არ ხართ დარწმუნებული, მიმართეთ გარემოს დაცვის ან იურიდიულ სამსახურს;
- ინდივიდუალურად განიხილეთ, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ ნარჩენების, ენერჯის ან წყლის მოხმარების შესამცირებლად. მაგალითად, ცვლის ბოლოს შუქის გათიშვა, მრავალჯერადი პროდუქტის გამოყენება ერთჯერადის ნაცვლად, ან ხეების დარგვის საზოგადოებრივი ინიციატივის მხარდაჭერა;



გარემოს დაცვის შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია მდგრადი განვითარების პოლიტიკასა და გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკაში და შესაბამის სტანდარტებში.

### საზოგადოება

ვმუშაობთ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ასოციაციებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან რათა დავგეგმოთ და განვახორციელოთ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროგრამები. შეგვაქვს წვლილი საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში სამუშაო ადგილების შექმნით, საინვესტიციო პროგრამებით და შესყიდვების შესაძლებლობებით. ჩვენი მიზანია თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ ოპერაციების ზეგავლენა საზოგადოებაზე გავზარდოთ დადებითი გავლენა.

პატივს ვცემთ კულტურულ მემკვიდრეობას და ტრადიციებს ოპერაციების არეალში და დაინტერესებულ მხარეებთან ვურთიერთობთ პატივისცემის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. ვთვლით, რომ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაში წვლილის შეტანით და ღია დიალოგის დამკვიდრებით ვზრდით ჩვენი ბრენდის იმიჯს, ვითვისებთ ახალ გლობალურ ბაზრებს, ახალ პროექტებს და დაფინანსების შესაძლებლობებს.

#### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობა აწარმოეთ კულტურულად, შესაფერისი ფორმით და დროულად მიაწოდეთ ზუსტი ინფორმაცია;
- წვლილი შეიტანეთ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებისა და



საჩივრების მექანიზმის პროცედურების მომზადებაში.

- მაქსიმალურად გაზარდეთ ადგილობრივების დასაქმება და ადგილობრივი შესყიდვები;
- აცნობეთ საზოგადოებასთან მომხდარი ინციდენტები და საჩივრები სოციალური საკითხების დეპარტამენტს ან ხელმძღვანელს;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა გაზარდეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შემადგენელი ნაწილი;
- წარმოადგინეთ რეკომენდაციები საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მუდმივ გაუმჯობესებაზე.



სოციალური საკითხების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია მდგრადი განვითარების პოლიტიკასა და გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკაში და შესაბამის სტანდარტებში.

### ეფექტური მართველობა

შევიმუშავებთ შიდა კონტროლის და მართვის სტრუქტურა, რათა ბიზნეს ვალდებულებები და მიზნები შევასრულოთ ეთიკის ნორმების დაცვით და გამჭვირვალედ. არ დავუშვებთ თაღლითობას ანგარიშგებაში, ან კომპანიის რესურსების არასათანადო, თაღლითურ გამოყენებას. ჩვენი ფინანსური და სხვა ანგარიშები, მათ შორის გარემოსდაცვითი, სოციალური მართვის და მდგრადობის ანგარიშები ზუსტი და დროულია. დაინტერესებულ მხარეებს, პარტნიორებს, სამთავრობო ორგანოებს, საზოგადოებას და სხვა მხარეებს ვაწვდით ზუსტ ანგარიშებს და მონაცემებს.

ანგარიშების გაყალბებამ ან არასწორად ფორმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინარული ზომები და სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დოკუმენტაციის და მონაცემების გაყალბების მიმართ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობა.

საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს ამ კოდექსის, მასთან დაკავშირებული სტანდარტების და პროცედურების განხორციელება. საბჭოს და ხელმძღვანელ პირებს ანაზღაურებას ვუხდით ეფექტური მმართველობის პრაქტიკის და მდგრადობის შესრულების საფუძველზე.

### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- დააფიქსირეთ, თუ გახდით დოკუმენტების ან მონაცემების გაყალბების მოწმე;
- პარტნიორებს, სამთავრობო ორგანოებს და გარე აუდიტორებს მიაწოდეთ ზუსტი ინფორმაცია;
- მოკვლევით დროს მიაწოდეთ ზუსტი ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, თუ ვისი გამოკითხვა ხდება;



მმართველობის შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია მდგრადი განვითარების პოლიტიკაში, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკაში და ანგარიშვალდებულების პოლიტიკაში.

### ადამიანის უფლებები

ვიცავთ და ხელს ვუწყოთ ადამიანის უფლებებს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. პატივს ვცემთ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებით, უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპებით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების შესახებ დეკლარაციით განსაზღვრულ ნორმებს. მომწოდებლებისგან და კონტრაქტორებისგან ვითხოვთ იგივე სტანდარტების და პრინციპების დაცვას. მხარს ვუჭერთ გაეროს Global Compact-ის ადამიანის უფლებების პრინციპებს.

ვალარებთ ყველა თანამშრომლის უფლებებს გაერთიანების თავისუფლების, კოლექტიური მოლაპარაკების, თანაბარი შესაძლებლობების და მოპყრობის, სამართლიანი ანაზღაურების, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს მხრივ.

ვალარებთ საზოგადოების უფლებას უსაფრთხო გარემოზე. ვამოწმებთ უსაფრთხოების კონტრაქტორებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ არ არიან შემჩნეული ადამიანის უფლებების დარღვევებში.

### რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

- აცნობეთ ადამიანური რესურსების დეპარტამენტს ან თქვენს ზედემზედველს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები, რაშიც შესაძლოა შედიოდეს რასისტული შენიშვნები, დისკრიმინაციის წახალისება, საფრთხისშემცველი სამუშაო გარემო, ან საექვო სამუშაო პრაქტიკა, როგორცაა ბავშვების დასაქმება;
- შეამოწმეთ ყველა პოტენციური უსაფრთხოების კონტრაქტორი;
- ხელმძღვანელებმა და მენეჯერებმა უზრუნველყავით უსაფრთხოების პერსონალის ინფორმირება ადამიანის უფლებების საკითხებზე;
- ადამიანური რესურსების დეპარტამენტი უნდა იცნობდეს და ახდენდეს ადამიანის უფლებების ყველაზე ხშირი დარღვევების პრევენციას, როგორცაა სამუშაო საათები და პირობები, დისკრიმინაცია და თანაბრობა, ბავშვების შრომა, არასამართლიანი ხელფასები და იძულებითი შრომა.



ადამიანის უფლებების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია ადამიანური რესურსების პოლიტიკაში და უსაფრთხოების პოლიტიკაში.

## კოდექსის მოქმედება

### ჩვენი, როგორც თანამშრომლების, მომწოდებლების და კონტრაქტორების პასუხისმგებლობა

ყველა ვალდებული ვართ გავცნოთ კოდექსს, გავიაზროთ და მოვითხოვოთ განმარტება, თუ კოდექსის რომელიმე ნაწილი გაურკვეველია.

ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან თანამშრომლებს მისცენ მაგალითი და შექმნან გარემო, სადაც არ ექნება ადგილი უკანონო ქმედებებს და დარღვევებს. ამასთან, ხელმძღვანელებს ეკისრებათ კოდექსის შესახებ თანამშრომლების ინფორმირების პასუხისმგებლობა.

მაგალითად, სამუშაო სიტუაციაში, დაუსვით საკუთარ თავს კითხვა:

- საეჭვოა თუ არა ესა თუ ის საკითხი? (ეჭვის შემთხვევაში, დიდი ალბათობით საკითხი არ არის მისაღები)
- არის თუ არა ქმედება კანონიერი?
- შეესაბამება თუ არა ქმედება კოდექსს და ენერგო-პროს პოლიტიკას და სტანდარტებს?
- განვიხილავ თუ არა ამ საკითხს კოლეგებთან და ჩემს უშუალო ხელმძღვანელთან?
- შეიძლება თუ არა შეიქმნას ნეგატიური შედეგები ჩემთვის ან/და ენერგო-პროსთვის?

## ქვევის კოდექსის პოტენციური დარღვევების დაფიქსირება

ყველა ჩვენთაგანის ვალდებულებაა ვიმუშაოთ ეთიკის ნორმების დაცვით. ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს, რომელიც გახდება კოდექსის დარღვევის ფაქტის მოწმე, ან რომლისთვისაც ცნობილი გახდება დარღვევის შესახებ, ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაშიც კი, ეძლევა რეკომენდაცია საკითხის შესახებ აცნობონ თქვენს ზედამხედველს, ადამიანური რესურსების ადგილობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელს, ან პრადის ოფისის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის დირექტორს.

## მოკვლევის პროცესი

თანამშრომლების ან კონტრაქტორების მიმართ, რომლებიც არღვევენ ქვევის კოდექსს და პოლიტიკას, შესაძლოა მიღებულ იქნას დისციპლინარული ზომები, დასაბუთების შემთხვევაში და დარღვევის სიმწვავის მიხედვით, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. სერიოზული დარღვევებისას შესაძლოა მოხდეს სამსახურიდან გათავისუფლება და სამართლებრივი პროცესის დაწყება. გატარდება შესაბამისი შემოწმების პროცესი, საქმის მონაწილე პირ(ებ)ის გამოკითხვის ჩათვლით. საქმის მონაწილე პირებს წერილობით ეცნობებათ მოკვლევის შესახებ, მოკვლევის და გამოკითხვის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. ასევე ეცნობებათ თუ არა მოკვლევის პერიოდში სამსახურში სიარული. საქმის მონაწილე პირ(ებ)ს უფლება აქვთ

გამოკითხვაზე წარმოადგინონ დამატებითი დოკუმენტაცია ან მოწმე. საქმის მონაწილე პირ(ებ)ს ეცნობებათ ძირითადი გადაწყვეტილებები.

### დისციპლინარული ზომები

კომპანიას ნულოვანი ტოლერანტობა აქვს არაეთიკური საქმიანობის კუთხით. ამ კოდექსის დამრღვევი ნებისმიერი თანამშრომლის ან კონტრაქტორის მიმართ მიიღება დისციპლინარული ზომები, მათ შორის სამსახურიდან გათავისუფლება და სამართლებრივი პროცესის დაწყება, დარღვევის სახეობიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევებში, თანამშრომელთან გაფორმებული კონტრაქტი შესაძლოა შეწყდეს.

-----